პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 14 ნოემბერი 1924 წ. წელიწადი მეოთხე ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 648 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მეტი ყურადღება კომკავშირის მუშაობას.

ჩვენ გაზეთში მრავალჯერ იყო აღნიშნული პარტიული მუშაობის გაძლიერების საჭიროების შესახებ.

ესევე უნდა ითქვას ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირილების მუშაობაზე.

წითელი ჯარის რიგები განსაკუთრებით ახალგაზრდობისაგან შესდგება. დიდი უმეტესობა სოფლის ახალგაზრდებია. მათ ბევრი რამ არ იციან პროლეტარიატის ცხოვრებიდან. ზოგ შემთხვევაში უბრალო ინტერესებიც არ აქვთ.

ყოველივე ეს შედეგია ჩვენი საერთო ჩამორჩენილობის. ამ ჩამორჩენილობას და მასთან ერთად ჩვენს საზოგადო განუვითარებლობას ბოლო უნდა მოვუღოთ.

ამისათვის კი საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მუშაობა პოლიტიკურ და პარტიულ ხაზით. თვითეული კომკავშირის წევრი წითელ-არმიელი უნდა ეცადოს დაუახლოვდეს უპარტიო ამხანაგს და დაიმსახუროს მასში პატივისცემა და დაჯერება.

ეს ერთი შეხედვით ადვილი საქმეა, მაგრამ, თუ ცოტა ოდნავ დავუკვირდებით სულ სხვა სურათს მივიღებთ. უპარტიო მასა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს არა მარტო ჩვენს მსოფლმხედველობას, არამედ თვითეულ ნაბიჯს ჩვენი კერძო ცხოვრებისაც. ამიტომ საჭიროა ჩვენი ყოფა-ცხოვრება სამაგალითო და მისაბაძი იყოს ყველა უპარტიოსათვის.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ ნდობასაც დავიმსახურებთ და გავლენიანობასაც მოვიპოვებთ.

თავი და თავი კი პარტიული მუშაობის გაძლიერებაა.

კომკავშირის უჯრედი უნდა ეცადოს ღია კრებებზე, რაც შეიძლება მეტი უპარტიო ამხანაგები ესწრებოდენ. მაგრამ მხოლოდ ღია კრებების გამართვა და უპარტიოთა მოწვევა არ კმარა.

საჭიროა კომუჯრედის სხდომებზე ირჩეოდეს ისეთი საკითხები, რაც უფრო მეტად აინტერესებს უპარტიოთ. ეს მოითხოვს ღია კრებების დღის წესრიგის დიდი სიფრთხილით შედგენას.

შეუძლებელი თუ არა, უხერხულია ერთი ან ორი საკითხის გარჩევის შემდეგ დამსწრეთ სთხოვო კრება დასტოვონ, ვინაიდან ღია კრებისათვის საკითხები ამოწურულია და დანარჩენები დახურულ კრებაში უნდა გაირჩესო.

ეს რომ არ მოხდეს საჭიროა დღის წესრიგი შესდგეს მთლიანად ღია კრებისათვის.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ჩვენი, როგორც კომკავშირელების, ისე კომუნისტურ უჯრედების ერთი გარემოება.

საქმე ის არის, რომ ამ უჯრედებში მუშაობა სწარმოებს. თვითეული წევრი ტყუილად არ არის, მაგრამ ერთიც და მეორეც გაჩუმებულია, არაფერს იწერება. ეს კი საქმიანი მოსაზრებით დაუშვებელია.

დიდი სარგებლობა მოაქვს ერთი ნაწილის პარტიული მუშაობის გაცნობას მეორე ნაწილისათვის. თავისთავად ცხადია ბევრი რამ კეთდება კარგად და უნაკლოდ, ბევრი კი შეცდომებით.

აი მაშინ, როდესაც ჩვენი მუშაობის შესახებ, ჩვენს ავკარგზე აღნიშნული იქნება გაზეთის ფურცლებზე, თვითეულ ნაწილს შეუძლია გაეცნოს დანარჩენ ნაწილის პარტიულ ცხოვრების მიმდინარეობას.

აქედან პრაქტიკული შედეგი: არ გაიმეორებს იმ შეცდომებს, რომელიც მეორე ნაწილმა დაუშვა და გამოასწორებს თავის საკუთარ ნაკლს სხვა ნაწილის მუშაობის მიბაძვით.

ამიტომ ჩვენი მუშაობა ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ. უნდა ვეცადოთ გაზეთის ფურცელზე ფართოთ იქნეს გაშუქებული ჩვენი მუშაობა.

პარტიულო კორესპონდენტო, არ დაივიწყო ეს, მიაწოდე გაზეთს მასალები.

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე.

შეთანხმება უნგრეთის მთავრობასთან.

ხელმოწერილ იქნა უნგრეთის მთავრობასთან შეთანხმება, რომლის ძალითაც განთავისუფლებულ უნდა იქნან უნგრეთში დაპატიმრებული კომუნისტები და საბჭოთა კავშირის მიერ მცველებად შეპყრობილი მძევლები.

ეს გაცვლა მოხდება 17 ნოემბერს პოლონეთ-საბჭოთა საზღვარზე, სტოლბცაში.

რუსეთის სავაჭრო გემები.

მიღებულია სწორი ცნობა რუსეთის სავაჭრო გემების შესახებ, რომელნიც გაიტაცა გენერალ ვრანგელმა.

ამ ჟამად საფრანგეთში იმყოფება 100 წვრილი გემი.

ამას გარდა საფრანგეთის სარდლობამ 1918 წელში ოდესიდან წაიყვანა 11 დიდი გემი, რომლებიც საბჭოთა კავშირისათვის არ დაუბრუნებიათ.

გემების ფასი უდრის 10 მილიონ მანეთს.

რადიო-დეპეშები.

საფრანგეთის საელჩოს შენობა ლენინგრადში.

ამ დღეებში მოხდება შენობის გადაცემის აქტი საფრანგეთის საელჩოზე და საელჩოს გასაღები გადაეცემა საფრანგეთის წარმომადგენელს.

საფრანგეთის ვალები.

სევასტოპოლის ხაზინის განძეულობა.

საფრანგეთის პოლკოვნიკ ტრუსონის მიერ აღმოჩენილ იქნა ოქმი, რომელშიაც აღნიშნულია 1919 წელში სევასტოპოლის ხაზინიდან გატანილი სიმდიდრე, რომლის რაოდენობა უდრის 10 მილიონ მანეთს.

პოლონეთ-საბჭოთა ფოსტა-სატელეგრაფო ხელშეკრულება.

სეიმის კომისიამ ერთხმად მიიღო ფოსტა-სატელეგრაფო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.

მთავრობის რეორგანიზაციის ცვლილების წინ.

პოლონეთის სეიმში კენჭი უყარეს განცხადებას მთავრობის ნდობის შესახებ.

პოლონეთის ყველა პარტიებმა, მათ რიცხვში სოციალისტურმა პარტიამაც უნდობლობის ხმა მისცეს მთავრობას.

ამ დღეებში მოხდება ცვლილება გრაფსკის მთავრობაში.

დეპუტატთა ხელშეუხებლობა პოლონურად.

ხმებია, რომ პოლონეთის ძალებმა შეადგინეს შეიარაღებული ჯგუფები ბელორუსიისა და უკრაინელთა დეპუტატებზე თავდასხმის მოსაწყობად. ერთ მიტინგზე მოწყობილ იქნა პროვოკაცია, რასაც შედეგათ მოჰყვა შეტაკება გლეხებსა და ჩასახლებულთა შორის. სცემეს ბელორუსიის დეპუტატებს, რომლებმაც ილაპარაკეს მიტინგზე.

რესპუბლიკანური მოძრაობა ოსმალეთში.

რესპუბლიკანური სახალხო პარტია.

ოსმალეთის სახალხო პარტიის კრებაზე შინაგან საქმეთა კომისარმა რეჯებმა წინადადება შეიტანა დაუმატონ პარტიის სახელწოდებას „რესპუბლიკანური“.

რეჯების წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად.

პროგრამა.

ანგორის პოლიტიკურ წრეებში ადასტურებენ იმ ხმებს, რომ კიაზიმ-კარაბექირ-ფაშა და ალი-ფუადი შეუერთდებიან სახალხო პარტიინად გამოყოფილ ჯგუფსო.

ამ ჟამად ოპოზიციაში ითვლება ოფიციალურად 20 დეპუტატი. ფიქრობენ კიდევ ოც და ათი დეპუტატის გადასვლას.

ეს დეპუტატები ფიქრობენ შეადგინონ ახალი ლეგალური პარტია, რომელსაც სახელად უწოდება რესპუბლიკანური.

ამ პარტიის პროგრამა დიდათ არაფრით განსხვავდება „სახალხო პარტიის პროგრამიდან და წამოყენებულია შიგ შემდეგი მოთხოვნილება: ხალხის უფლებათა სუვერენობის დაცვა, საერთო საარჩევნო უფლება, ძალა-უფლების ცენტრალიზაციის სისტემის შეცვლა, აკრძალვა ოფიცრების და მოხელეების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება და სხვა.

ფაშიზმმა მოსჭამა თავისი დრო.

მუსოლინიმ კვლავ დასდო აღთქმა რომ ის შესდგება „ნორმალიზაციის“ გზაზე, რათა თავიდან იქნას აშორებული რღვევა მმართველ უმრავლესობაში.

ამის შესახებ გაზეთი „იტალია“ აღნიშნავს, რომ „მუსოლინის განცხადება სანდო არ არისო, ფაშიზმმა მოსჭამა თავისი დრო. ქვეყნის ხსნა შეუძლია მხოლოდ ცენტრის მთავრობას“-ო.

პარლამენტის ბოიკოტი.

იტალიის ოპოზიციონურმა პარტიებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც უცხადებენ პარლამენტს ბოიკოტს.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ შექმნილი მდგომარეობიდან შეიძლება გამოსვლა მხოლოდ მაშინ, როცა შემდგარი იქნება ახალი მთავრობა ქვეყნის თავისუფალი ნების გამომხატველი.

საბჭოთა ფედერაციაში.

კორესპონდენტის მოკვლა.

პენზის ადგილობრივმა გაზეთმა მიიღო ცნობა, რომ სოფელ ნიკოლსკში მოჰკლეს სოფლის კორესპონდენტი სერგეევი.

დაწყებულია გამოძიება.

ცემა.

უცნობმა პირებმა სმოლენსკში სცემეს გაზეთ „რაბოჩი პუტ“-ის მუშკორს გლებოვს.

გლებოვს დაუზიანდა ცალი თვალი.

სწარმოებს გამოძიება.

უმეტესობა ღარიბების მხარეზეა.

სიმფეროპოლის სოფლის საბჭოებში უმეტეს შემთხვევაში არჩეულ იქნენ ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები.

კომუნისტებმა ახალ საბჭოებში მიიღეს ხმების ერთი მერვედი.

ამინდი საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა კავშირში დაიწყო ყინვები.

თბილი ამინდებია მხოლოთ უკრაინაში, ყირიმში და კავკასიაში,

ლენინის მარკები.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი უშვებს ახალ მარკებს, რომლებზედაც აღნიშნული იქნება ლენინის სურათი.

ნამდვილი კავშირი.

სორმოვის მუშათა დელეგაციამ გადასცა ბალკროიას სოფლის გლეხებს 5.000 მანეთი ტრაქტორის შესაძენად და სასადილოს გასახსნელად.

ადგილობრივი ცნობები.

აჭარისტანი.

ახალი თემები.

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ქოროხის, ქობულეთის და ხულოს მაზრებში გამოყოფილ იქნა ხუთი ახალი თემი.

ჩაქვის სახალხო მამულში მუშკორებს დევნიან.

ჩაქვის სახალხო მამულის ადმინისტრაცია რეპრესიებით ემუქრება მამულში მომუშავე მუშკორებს ადმინისტრაციის მუშაობის გამომჟღავნებისათვის გაზეთებში.

მუშკორებს უხდება მუშაობა „არალეგალურად.“

ბათუმის მუშკორთა ბიურო იღებს სათანადო ზომებს ჩაქვის მუშკორების დასაცავად ადმინისტრაციის თავხედობისაგან.

რადიო ყოველ მხრიდან

ტრამვაის მუშათა გაფიცვები ბერლინში.

ბერლინში გრძელდება ტრამვაის მუშათა გაფიცვები. მოძრაობა სრულიად შეწყვეტილია.

გაფიცულთა კრებამ ერთხმად დაადგინა გაგრძელებულ იქნას გაფიცვები.

ამ მოვლენამ დიდი გავლენა მოახდინა ყოველგან, რაიც მომასწავებელია მუშათა მასების საბრძოლო განწყობილების.

ეს გაფიცვები ერთგვარი დაბრკოლებაა დოუესის. გეგმის გატარების საქმეში.

პარიზის მბეჭდავთა გამარჯვება.

პარიზის მბეჭდავებმა გაიმარჯვეს თავიანთ მოთხოვნილებაში ხელფასის მომატების შესახებ.

შეიძლება ვიფიქროდ, რომ გაფიცვები აღარ მოხდება.

აჯანყება ბრაზილიის გემზე.

4 ნოემბერს ბრაზილიის სამხედრო გემზე გაიფიცა მოსამსახურეთა სრული შემადგენლობა.

ამ დღეებში ეს გაფიცვები დასრულდა.

გემი მივიდა მონტევიდეოს ნავთსადგურში და ჩაბარდა ბრაზილიის საკონსულოს.

ჩეხო-სლოვაკია.

კომპარტიის ახალი ცეკას მოწოდება.

ჩეხიის კომპარტიის ახალმა ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს:

„საჭიროა საჩქაროდ იქნას მიღებული ზომები ბურჟუაზიის შემოტევის წინააღმდეგ. უმთავრესი ამოცანა ერთიანი პროლეტარული ფრონტია.

პარტია იბრძოლებს იმ აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, რომელიც იცავს სამიწათმოქმედო კაპიტალის ინტერესებს და ხელს უწყობს ნაციონალურ ჩაგვრას.

პარტია ერთსულოვნად მიდის ბოლშევიზაციისაკენ და უფრო შეკავშირებულია, ვინემ წინად იყო“.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

ამხ. მიხ. კახიანის მოხსენება ტფილისის ქართულ ნაწილების პარტიულ კონფერენციაზე.

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა.

ამხანაგებო, უკვე 7 წელია რაც გაიმარჯვა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ და საბოლოოდ დამკვიდრდა ს. ს. რესპუბლიკების თვალუწვდენ სივრცეზე. პირველ ხანებში, გეცოდინებათ თქვენც, რომ არსებობდნენ ბევრი „წინასწარმეტყველები, რომლებიც სოფლის მარჩიელებივით გვეუბნებოდნენ, რომ საბჭოთა ძალაუფლება ვერ იბოგინებს კვირეებზე მეტიო.

მაგრამ კვირეებს თვეები მოყვა, თვეებს წლები და ჩვენ უკვე გადავდექით გამარჯვების მერვე წელში. მაშინ რომ ვინმეს საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა ამ მარჩიელებისათვის, სულელათ ჩაგთვლიდნენ. დღეს კი მთელ მსოფლიოში არაა ისეთი მტკიცე მთავრობა, როგორიც საბჭოთა მთავრობაა. ყველა „მირონცხებულ“ პრემიერებზე უფრო მშვიდათ დღეს თავსა გრძნობს ჩვენი მთავრობის მეთაური ამხ. რიკოვი. მას არ ეშინია მთავრობის კრიზისების. ეს არაა ჩვენი სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისება.

არა ღირს შეჩერება იმაზე თუ რა და რა გამარჯვებას მივაღწიეთ ჩვენ საკუთარ საშინაო პოლიტიკაში. შევჩერდები მხოლოთ იმაზე, თუ როგორია ჩვენი საგარეო მდგომარეობა.

ძველი ცოდვები.

ბევრი ძველი ცოდვები აქვს ჩადენილი ჩვენ მიმართ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. ვის გინდათ რომ ისინი არ ეხმარებოდნენ და არ აძლევდნენ ტომრობით ფულს იმიტომ, რომ ჩვენთვის კისერი მოეტეხა ვინმეს და გაებატონებიათ აქ ისევ ბურჟუაზია, მაგრამ ამხანაგებო, გაიმარჯვა ისტორიულმა სიმართლემ და კისერ მოტეხილები თითონ დარჩნენ. (სიცილი). დღეს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ და ბურჟუაზიას არაფრით გვეხახვება ერთი მეორე, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გვიცნეს ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა. ისინი არ გვიცნობდნენ, რასაკვირველია, რომ ჩვენ ისევ სუსტები ვიყოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ გავძლიერდით და კაპიტალისტური სახელმწიფოები მიხვდნენ, რომ ჩვენთან მუშტი-კრივი არაა მათთვის ხელსაყრელი და ისევ ცნობა ამჯობინეს. ჩვენ გავძლიერდით ერთის მხრივ და ისინი დასუსტდნენ მეორეს მხრივ. მათ მოინდომეს ჩვენი გაცნობა და ჩვენც არაფერი გვქონდა ამის საწინააღმდეგო (სიცილი). მართლაც, გადავხედოთ მათ თვითეულათ და ვსთქვათ:

რას განიცდის დღეს ინგლისი?

ინგლისში, როგორც თქვენ უკვე იცით იყო ეგრედ წოდებული „მუშათა მთავრობა“, ამ მუშათა მთავრობაში შედიოდენ მენშევიკები და სათავეში ყავდათ კარგი გვარიანი ცნობილი მენშევიკი, ჩვენი ჟორდანიას თუ ძმა არა თანატოლი მაინც, მაკდონალდი. მერე ვინ დააყენა მთავრობის სათავეში მაკდონალდი?—მაკდონალდი დააყენა ბურჟუაზიამ.

ბურჟუაზიის ხრიკები.

ბურჟუაზიას სურს გააკეთოს თავის საქმე ისე, რომ ამაში მას ხელი არავინ შეუშალოს; მაგრამ არსებობს ინგლისის მუშათა კლასი, რომელიც მას ხელს უშლიდა ამ საქმიანობაში. ამიტომ ბურჟუაზიამ შექმნა ე. წ. ფაშიზმი. ხოლო მარტო ფაშიზმზე დაყრდნობა არ ივარგებდა, ეს უფრო გაალიზიანებდა მუშებს და შედეგი არა სასიამოვნო დარჩებოდა ბურჟუაზიისათვის. აქ ბურჟუაზიას სჭირდებოდა და სხვა საფარი. ასეთ საფარათ კი მას გამოადგებოდა მხოლოთ ინგლისის მენშევიკური პარტია. ამიტომ აიღეს და მთავრობის სათავეში დააყენეს მაკდონალდი. იფიქრეს ცოტა ხანი იფოხიალოს, გასაქანს კი არ მივსცემთ, მერე ხალხი იფიქრებს ისევ ჩვენ ვსჯობნებივართ მაგენსო და ამნაირათ, ფიქრობდენ მემარცხენე ფრთის გაძლიერებაზე მოეხდინათ უარყოფითი გავლენა. მართლაც მაკდონალდი განაგრძობდა მსხვილი ბურჟუაზიის, ლოიდ-ჯორჯ-კერზონის საქმეს. ბოლოს მაინც მოსდევს მიზეზი ამ შენ მაკდონალდს და გადმოაბრძანეს პრემიერის სავარძლიდან.

როგორ გადააგდეს მაკდონალდი.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ მაკდონალდი არ შერჩება დიდხანს ხელისუფლებას თუ მან იარა მენშევიკური გზითო... და ჩვენ გავმართლდით.

მოსდევს მიზეზები ჩვენს მუშათა პრემიერს და უჯიკავეს ხელი. პირველი მიზეზი იყო საბჭოთა კავშირის ცნობა. ინგლისის ბურჟუაზიამ ამაზე ასტეხა ერთი განგაში და ალიაქოთი. მათ ხმას თავისი ხმა შეუერთეს ქართველმა გადახვეწილმა მენშევიკებმა. მაგალითად კარლო ჩხეიძე იქ დახეტიალობდა მაშინ და ჩვენ საწინააღმდეგოთ მუშაობდა, დაიხვიეს ხელზე რომ მაკდონალდს უნდა ბოლშევიკებს 300—400 მილიონი მანეთის სესხი მისცესო და მეორე მიზეზი იყო ის, რომ ერთი კომუნისტური გაზეთის რედაქტორი იყო პასუხის გებაში მიცემული იმისათვის, რომ მან მოუწოდა ჯარს ნუ ესვრით გაფიცულ მუშებსო და აი ეს რედაქტორი გაანთავისუფლეს, რაც „მუშათა მთავრობას“ დანაშაულად ჩაეთვალა.

მკვეხარა კაცი.

მაკდონალდი თავის მთავრობიანათ უნდა გადამდგარიყო და ინიშნებოდა ახალი არჩევნები. არჩევნებში კი გაიმარჯვეს კონსერვატორებმა ანუ უდრესათ რეაქციონურმა პარტიამ. მაკდონალდი-მენშევიკი დამარცხდა. ჩვენ ამას ვამბობდით თავიდანვე. ერთხელ მაკდონალდი გამოხტა ამხ. ლენინის წინააღმდეგ და დაიკვეხა: მე განახვებთ ინგლისის მაგალითზე თუ როგორ უნდა განხორციელდეს სოციალიზმიო. თქვენ, ბოლშევიკები სისხლსა ღვრით მე კი უსისხლოთ შევსძლებ ამასო, მაგრამ რაც შესძლო, ეს უკვე ვნახეთ. დღეს მაკდონალდი თავის მოძმე ნოე ჟორდანიასთან ერთად შრომის ბირჟაზე არიან ჩაწერილი (სიცილი). აი, როგორ განახორციელა მან სოციალიზმი.

ასე სჯობდა.

მაკდონალდის მუშათა მთავრობა უფრო აბრმავებდა მუშების თვითშეგნებას და აჩლუნგებდა მათში ბრძოლის ხასიათს. დღეს კი იგი აღარაა მთავრობის სათავეში და მუშათა კლასი უკვე გარკვეულ ადგილზე ხედავს თავის მოსისხლე მტერს. ეს გააძლიერებს მემარცხენე რევოლიუციონურ ფრთას და ეს უფრო ხელსაყრელია რევოლიუციის ინტერესებისათვის. ჩვენ ცნობა გვაქვს რომ ინგლისში დღითი დღე იზრდება ჩვენ მეგობართა რიცხვი.

საფრანგეთი და ჩვენ.

საფრანგეთი ყველაზე უფრო საშინელი მტერი იყო ჩვენი. იგი ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა რეაქციას, რევოლიუციის ჩასაკლავათ, მაგრამ საფრანგეთშიაც ინგლისისებური ამბები მოხდა. იქაც ბურჟუაზიამ ერრიო დააყენა მთავრობის სათავეში. ერრიომ კი იცნო საბჭოთა კავშირი. ეს გასაკვირალია ერთი შეხედვით, მაგრამ ამის ახსნა ადვილია. საფრანგეთ-ინგლისს შორის არ არსებობს ნამდვილი მეგობრობა. ინგლისს რომ ხელი შეეშალა ჩვენთან დამოკიდებულებაში საფრანგეთმა იფიქრა, მოდი ეხლა ვიცნობ მე, ეგებ უფრო მეტი რამ გამოდნეს საბჭოთა კავშირიდანო. ეხლა ჩვენ თითქმის მთელი ევროპის მიერ ვართ ცნობილი. დარჩა მხოლოდ ერთი დიდი ქვეყანა ამერიკა.

იგი დღესაც გაჯიუტებულია. მას არ უნდა ჩვენი ცნობა. იქ დღეს აუარებელი სიმდიდრეა დაგროვილი და მათ მაინცა და მაინც ბევრი ინტერესები არა აქვთ ჩვენთან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისინიც იძულებულნი იქნებიან გვიცნონ.

გერმანია და იტალია.

გერმანიამ და იტალიამ დიდი ხანია, რაც გვიცნეს. გერმანია დღეს ჩაიგდეს თავის კლანჭებში იმპერიალისტებმა და აძრობენ ტყავს. ასეთ მდგომარეობამდე გერმანია მიიყვანა მხოლოდ იქაურმა მენშევიკებმა. იმპერიალისტებს უნდათ რომ გერმანია გადააქციონ ახალშენათ, ამას ისინი იზამენ კიდეც, მაგრამ გერმანიას იხსნის კომუნიზმი.

იტალიის მთავრობა კი ეხლა იკვეხნის ხომ ხედავთ, მე ყველაზე ჭკვიანი გამოვდექი რომ ადრე ვიცანი საბჭოთა ხელისუფლებაო.

მდგომარეობა აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთზე ლაპარაკის დროს ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს ჩინეთი და ოსმალეთი. ჩინეთში დღეს ისეთი არეულ-დარეულობაა, რომ კაცი ვერაფერს გაიგებს, მაგრამ იქ იბრძვის ერთი ძალა, რომლის მიზანია ჩინეთის ეროვნულ-ნაციონალური ინტერესების დაცვა. ამ ძალას მეთაურობს ჩვენი კავშირის მეგობარი სუნ-იატ-სენი. მთელი ჩვენი თანაგრძნობა მის მხარეზეა.

ჩინეთის საკითხში ჩვენ ამხანაგებო, მივაღწევთ დიდ გამარჯვებას. ჩვენ გადმოგვცეს იქ აღმოსავლეთ ჩინეთის რკ. გზა, გადმოგვცეს საელჩოს შენობა პეკინში და სხვა.

ოსმალეთთანაც ჩვენთვის სასურველი ურთიერთობაა.

დასავლეთის იმპერიალისტებმა მოინდომეს ოსმალეთისათვის წაერთმიათ ნავთიანი ადგილები მოსულის სახელწოდებით, მაგრამ ეს ვერ შესძლეს, იმიტომ რომ ოსმალეთმა განაცხადა მე ვიბრძოლებ და ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად იქნება ჩვენი მეგობარი საბჭოთა კავშირიო.

ეხლა გადავიდეთ ჩვენ საშინაო მდგომარეობაზე.

რა მოხდა საქართველოში?

თქვენ ამხანაგებო, ყველამ იცით თუ რა მოხდა. მენშევიკებმა, ფედერალისტებმა და ნაც. დემოკრატებმა მოინდომეს მუშათა და გლეხთა მთავრობის ჩამოგდება. მათ გეგმებიც კი შეადგინეს თუ როგორ იბატონებდნენ ჩვენი ჩამოგდების შემდეგ, მაგრამ ეს ნომერი არ გაუვიდათ და შედეგი თუ როგორი მოყვა მათ ცოდვილს—ეს ყველამ ვიცით. სეით დევდარიანი ამბობს, რომ ევროპა არ ეხმარებოდა მენშევიკებს ამ საქმეშიო. რასაკვირველია, ამხანაგებო ევროპას არ შეეძლო აქ ხალხი გამოეგზავნა, იმიტომ რომ დასახმარებლათ ეხლა თითონ წაუვიდათ საქმე.

(ამხ. მ. კახიანი აქ კითხულობს ამონაწერებს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკიდან“, ჟორდანიას დეპეშას რიკოვისადმი და წერეთლის განცხადებას).

ამხანაგებო, ხედავთ წერეთელი რას ბოდავს. აქ თურმე ათი დღე ყოფილა სისხლის ღვრა, აქ დაუწვავთ სოფლები, აქ მუშები გაფიცულან. ჩვენ თურმე ამას ვერ ვხედავდით და ირაკლი წერეთელს ეს პარიზიდან დაუნახავს. ჟორდანია უფრო შორს მიდის. იგი სწერს ამხ. რიკოვს შეაჩერეთ სისხლის ღვრა და დავიწყოთ მე და თქვენ მოლაპარაკებაო- ერთი სიტყვით წადით თქვენ ბოლშევიკები საქართველოდან და ჩვენ მოვალთ მანდ ტფილისშიო. კაი საქმე ყოფილა სწორედ!

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ევროპამ მოატყუა მენშევიკები. ისინი გაიხრწნენ ჩვენში და მათი უკეთე ნაწილი თან „და თანობით დგებ კომუნისტური წითელი დროში ქვეშ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ბოლოს და ბოლოს მთელ ქართველი მშრომელი ხალხი მო ჩვენთან.

ამის საწინდარია ოქტომბრის რ ვოლიუცია.

ჩვენ უნდა ვიაროთ მომავალშია ამ რევოლიუციის გზით, რომელი გვიჩვენა დიდმა მასწავლებელმ ლენინმა.

ჩვენი დროშის ქვეშ თავს იყრი ყველა ჩაგრული, როგორც აღმოსა ვლეთში ისე დასავლეთში. ეს დრო შა ხელთ უპყრია კომუნისტურ პა რტიას, რომელიც მას მიიტანს გ მარჯვების ზეიმში“ (ტაში. ინტე ნაციონალი).

მოხსენების დასრულების შემდე შემოაქვთ შეკითხვები, რომლებზ დაც მომხსენებელი იძლევა შეს ფერ პასუხებს და კონფერენცია ცხ დდება დახურულათ.

რეზოლიუცია, რომელიც მიღ ბულ იქნა ამხ. კახიანის მოხსენებ შესახებ დაიბეჭდება ჩვენი გაზეთ შემდეგ ნომერში.

ჩვენი წითელი კუთხე

წითელო მეთაურებო, გაგვაცანით თქვენი ცხოვრება.

ქართულ მეთაურთა სკოლამ ამა წლის ენკენისთვეში გამოუშვა წითელი მეთაურები, რომელნიც გაეშურნენ ქართულ სამხედრო ნაწილებში, რომ სკოლაში მიღებულ ცოდნით შესდგომოდნენ წითელ-არმიელების აღზრდას.

ცხადია, რომ მათ ლეგიონებში ბევრი არა-ჩვეულებრივი მოვლენა შეხვდებოდათ, ბევრი მუშაობა დასჭირდებოდათ, ბევრი სხვა და სხვა ნაკლულოვანებას დაძლევა და სხვა.

მათი ყოველგვარი მუშაობა ლეგიონებში მაგალითი იქნება შემდეგი მეთაურებისათვის, რომლებიც უფრო უმტკივნეულოთ გადალახავენ ყოველგვარ დაბრკოლებებს კარგი იქნება თუ სკოლაში მყოფ კურსანტებს წითელი მეთაურები გაზეთის და სხვათა საშუალებით გაგვიზიარებდენ თავიანთ ცხოვრებას ლეგიონებში.

იმედია, რომ ამხანაგები არ დაიზარებენ შრომას და მოგვცემენ საშუალებას ეხლავე გავეცნოთ წითელ არმიის თავისებურებას და ნაკლს, რომ მისი თავიდან ჩვენთვის აცილება უფრო ადვილი შეიქმნეს შემდეგში.

ნ. არჩუაშვილი.

ჩვენი სამნეო ნაწილის საქმიანობიდან.

მეთაურთა გაერთიანებულ სკოლის სამნეო ნაწილის მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ის შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. თუ აქამდე კურსანტებს თუნუქის „კრუშკები" და თევშებით ეძლეოდათ სადილი, ამ ჟამად სამნეო ნაწილმა შეიძინა ჩვენთვის ნამდვილი ფაიფურის ჭურჭლეულობა, მშვენიერი დანა-ჩანგალი, ჭიქები და სხვა. კარგი იქნება, რომ სამნეო ნაწილი იზრუნებდეს აგრეთვე მაგიდებზე გადასაფარებელ „კლიონკების" შესახებ. ეს მეტად გაუადვილებს შრომას სასადილოში მომუშავეებს.

სადილი ძლიერ კარგი და ნოყიერი გვეძლევა, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს. ორშაბათობით ხორცი არ მზადდება სადილათ. ჩვენც ვიცით ამის მიზეზი; და მის წინააღმდეგ არ გვეთქმის. ამზადებენ ლობიოს, რომელიც ძლიერ ძველია და უვარგისი. კარგად არ იხარშება, შემდეგ წააყრიან მარტო მარილს და ისე გვიხდება მისი ჭამა.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას.

მით უმეტეს მთელი ვერის ბაღებში ჩვენი სკოლიდან გატანილი ნაკელით მოყავთ მწვანილი და სხვა.

ფულის მაგიერად მათ უფრო კარგი იქნება ლობიო და მწვანილი გამოართვათ სამაგიეროთ და ამნაირად შეიძლება ახალი ლობიოს დამზადება სადილისათვის.

ჭ. ახათიანი.

დაივიწყეთ სიტყვა „ბატონი".

ეს ძველი, საშინელი დროის მოსაგონარი სიტყვა აუცილებლად უნდა განვდევნოთ ხმარებიდან.

ამას ელაპარაკებიან ჩვენს წითელ არმიელებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მაგრამ რა ნაყოფს გამოიღებს ეს ჩვენი ბრძოლა, როდესაც ჩვენი უფროსები ვერ გადასჩვევიან მის ხმარებას.

მაგალითისათვის მე მომყავს მეხუთე ტერ ლეგიონის უფროსების საქციელი. ამ ამხანაგებს ვერ მოუხერხებიათ „ბატონის" გარეშე მიმართვა. განსაკუთრებით მიშინ, როდესაც ისინი ელაპარაკებიან მათზე უფროსებს და ამას კი არავითარი ყურადღება არ ექცევა.

წითელ-არმიელს, რომ წამოცდეს ეს სიტყვა, იმ წამსვე შენიშვნას მისცემენ, ხოლო თვითონ კი ხშირად ხმარობენ მას.

ჩვენ გავახსენებთ ჩვენს ამხ. მეთაურებს, რომ დაივიწყონ ეს სამარცხვინო სიტყვა „ბატონო" და მაშინ უფრო ნაყოფიერი იქნება წითელ არმიელებში მათი ამ ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა.

წ. არ. მეთვალყურე.

მოგვაქციეთ ყურადღება.

უკვე ორ თვეზე მეტია, რაც ჩვენი მეექვსე ლეგიონი დაბინავდა ქალაქ სენაკში. პირველ ხანებში დიდი შრომა დაგვჭირდა, რომ ოდნავად მაინც მოგვეწყო ჩვენი საქმეები. მთლიანად დღესაც არა ვართ მოწყობილი ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ იმედია მალე მოვეწყობით.

ამ ჟამად მე მინდა ჩვენი ლეგიონის მესვეურების ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებას, რომლის შეუსრულებლობა არ ეპატიება არც ერთ სამხედრო ნაწილს.

ჩვენს გაზეთში ხშირად თავსდებოდა წერილები და მოგვიწოდებდენ განსაკუთრებული ყურადღებით მოვქცეოდით თოფს, მის მოვლას. ეს ასედაც უნდა იყოს. ვინც თავის თოფს ვერ მოუვლის, ის საკუთარ თავსაც ვერ მიხედავს.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენს წითელ არმიელებს საშვალება არა აქვთ მოუარონ თავის თოფებს.

არა გვაქვს საჭირო ხელსაწყო, რომლითაც შეიძლებოდეს თოფის გაწმენდა. ჩვენს ლეგიონში ესენი არ მოიპოვება და თოფები ჟანგით იფარება. მთელს ლეგიონში მხოლოდ შვიდი ცალი საწმენდია. საჭიროა მათი შეძენა. მოგვეცით ჩვარი, საწმენდელი და ზეთი, თორემ თოფებისათვის პასუხს გვაგებინებენ უდანაშაულოდ.

საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. აღნიშნულით რაც შეიძლება ჩქარა უნდა დაკმაყოფილდეს ჩვენი ლეგიონი.

ტატიანელი.

განავითარე დაკვირვება.

ხშირად ქონდა ადგილი ფრონტზე ასეთ შემთხვევას. შედიხარ რომელიმე სოფელში და ეკითხები:

ამხანაგო, ასეულის ან ოცეულის უფროსის ბინა სად არის?

იშვიათად თუ ვინმემ ამაზე დადებითი პასუხი მოგცეს.

გიპასუხებენ: არ ვიცი.

რა გასაკვირია ასეულის თავის ბინა არ იცოდეს, როდესაც ზოგიერთმა ისიც არ იცის, თუ რომელ მხრიდან ამ წამში მოვიდა ასეული.

ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს ჩვენს ირგვლივ თუ რა ხდება.

ჩვენს იმედებს ვამყარებთ უფროსებზე და ვფიქრობთ: უფროსებმა სუყველაფერი იციან და ჩვენს მაგივრად ისინი გააკეთებენ.

ასეთი შეხედულება არ არის მართალი. უფროსებს ამით შრომა ურკეცდებათ. მათ ხშირად უხდებათ თითით ჩვენება ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლად. ეს კი ომის დროს პირდაპირ დაუშვებელია.

ეხლა, ომის დროს, ყოველივე მსროლელი უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებლად, თავის მოსაზრებით. რა აზრი ექნება იმ ადამიანის მოქმედებას, რომელიც თავის ცხვირის იქით არაფერს ხედავს? ასეთი ადამიანი თვითონაც ჩავარდება უბედურებაში და ამხანაგებსაც დაღუპავს.

რომ ეს ასე არ მოხდეს ამისათვის საჭიროა დაკვირვება—ყოველივე წვრილმანი უნდა შეამჩნიო, არაფერი არ უნდა გამოგრჩეს შეუმჩნეველი.

ომის დროს არ არის არც ერთი ისეთი წვრილმანი, რომელიც ყურადღების ღირსი არ იყოს. განსაკუთრებით დიდი დაკვირვება ესაჭიროება მზვერავს, რადგან მას მხოლოდ თავის იმედი უნდა ქონდეს. პირველი საქმეა გზის შემჩნევა და დაკვირვება, რომლითაც მოხვედით.

მიდიხარ მწყობრში, ყოველ შემთხვევისთვის, დააკვირდი სამრეკლოს, თუ ასეთი არის, სახლს და სხვა საგანს, ე. ი. ყოველივე იმას, რაც თვალში გეცემა. მაგალითად, ხიდე მდინარე, ღელე და სხ.

ნუ თუ იქნება ისეთი ბრიყვი, რომელიც დაკვირების საგნად მიიღებს ძროხას, მძინარე ძაღლს.

გზის დაკვირვება და შესწავლა საჭიროა არა თუ მარტო ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც.

დაზვერის დროს რომელიმე მტრის სოფელში შეხვედი. აქ დაკვირებული კაცი, თუმდაც ამ სოფლის მცხოვრებლების ენა არ იცოდეს, მტრის ჯარის შესახებ სუყველაფერს გაიგებს. შეამჩნევს, რომ მცხოვრებნი ურმებზე უდებენ თავიანთ ქონებას და სტოვებენ სოფელს, ეს კი იმის მაჩვენებელია რომ მტრის ჯარი ახლოს სდგას და მიეშურებიან თავის დასაფარავად იქეთკენ. ჭებში წყალი ამომშრალია,—აქედან კი ადვილია მტრის ჯარის რაოდენობის გაგება.

ნახე დაღვრილი საჭმელი. დააკვირდი კარგია თუ ცუდი, ცუდია—ეს იმას ნიშნავს რომ მშიერი ყოფილა ჯარის კაცი.

მშიერი ჯარის კაცი კი ცუდი მეომარია.

შეამჩნიე შორიდან მტერი. ძნელია, რასაკვირველია, იმის გარჩევა ქვეითი ჯარი მოდის თუ ცხენოსანი.

დააკვირდი: თუ მტვერი მაღლა სდგას, ეს ნიშნავს იმას, რომ ცხენოსანი ჯარი მოდის, თუ მტვერი დაბლა—ქვეითი ჯარი მოდის.

ვ.

ამხ. ვლადიმერ ხულელიძის ხსოვნას.

ამხ. ხულელიძე იყო მე-6-ე ლეგიონის პირველი ტყვია მფრქვევის ასეულის წითელ-არმიელი. ჩვენს ლეგიონში ის მსახურობდა ექვსი თვე. ამხ. ხულელიძე იყო მეტად დინჯი, პატიოსანი და ენერგიული მუშაკი. ბანდიტების გამოსვლის დროს მან დიდი ერთგულობა და სიმამაცე გამოიჩინა. გამოსვლების დროს მას დაუჭრეს ასის თავი. მან თავზე აიღო ასის თავის მოვალეობა და წინ გაუძღვა წითელ-არმიელებს და უხელმძღვანელა ბრძოლაში ბანდიტების წინააღმდეგ. ის წარდგენილ იქნა წითელი დროშის ჯილდოზე.

მაგრამ საუბედუროდ ამხ. ხულელიძე, ახალ-სენაკში ჩამოსვლის დროს, უეცრად ავად გახდა და 28 ოქტომბერს ის გარდაიცვალა. მე-6-ე ლეგიონმა ამხ. ხულელიძე დაასაფლავა ახალ-სენაკის ძმათა სასაფლაოზე. დასაფლავებას ლეგიონს გარდა დაესწრო მთელი მაზრის მოსამსახურეები და პასუხისმგებელი ამხანაგები.

დაუვიწყარი იქნება ამხ. ხულელიძის ხსოვნა ჩვენი ლეგიონის შემადგენლობისათვის.

პარტკორი **ჭკადუა.**

პასუხად ე. ც—იას.

გაზ. „წითელ არმიელის" № 646-ში მოთავსებული იყო ამხ. ე. ც-იას წერილი შემდეგი სათაურით: „ცუდ საქციელს სასწრაფოდ ექცევა ყურადღება".

სრულიად მართალია ამხ. ც-ია. ყველაფერს ყურადღება ექცევა ჩვენთან და არ ვიცი რად დაგჭირდა ასეთი წვრილმანი საქმის, რომელიც მაინცა და მაინც არც ისე შეეფერება სიმართლეს, გაზეთის ფურცლებზე გამოტანა.

ამხ. ე. ც-ია სწერს: „პირველ დივიზიის უნცროს მეთაურთა სკოლის მსროლელ ასეულში უფროსიდან დაწყებული ხორცის დამრიგებლამდე ყველა „პრობს" თხოულობსო. ეს არ შეეფერება სიმართლეს. განა ერთის წუთითაც, რომ დაუშვათ და დავიჯეროთ, შესაძლებელია ეს? მარტო მსროლელ ასეულში 20-კაცამდეა უფროსი და უნცროსი მეთაურები. ყველა რომ „პრობს" თხოულობდენ სადილიდან რაღა დარჩება? მაგრამ საქმე ასე არ ყოფილა.

ერთხელ სკოლის სამხკომთან შემოვიდა ცნობა, რომ ორმა თუ სამმა მეთაურთაგანმა ისარგებლა სადილით „პრობის" სახით. სამხკომმა წამსვე მოიხმო აღნიშნული მეთაურები და გააფრთხილა მეორეთ არ ჩაედინათ ასეთი საქციელი.

„პრობი" მხოლოდ ერთხელ გამოდის სამზარეულოდან, შინჯავს უფროსი მორიგე მეთაური, სამხკომი და ასეულის უფროსი. მათ შეუძლიათ მისი მოხმარა, მაგრამ ამას არ სჩადიან და აძლევენ საშინჯის მომტან წ. არმიელს.

ასეთი წვრილმანი საქმეები ისე ნაწილის უფროსის მიერ სწორდება და მისი გაშუქება გაზეთის ფურცლებზე ზედმეტია. ეს უნდა იცოდეს ამხ. ე. ც-იამ და აღნიშნოს სინამდვილე.

დ. ჭ—ძე.

ჩვენი შემოქმედებანი.

„ცოდნის ტაძარი". № 2.

(1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის საბიბლიოთეკო კედლის გაზეთი, ოქტომბრის საზეიმო ნომერი).

გაზეთი ლამაზადაა გამოცემული. კარგ ქაღალდზეა, გარკვეულ ხელით ნაწერი და დასურათებული.

წერილები:

1. „ოქტომბრის რევოლიუცია და სამკითხველო".
2. „წითელი სამკითხველო".
3. ლექსები:
4. „ოქტომბრის წიგნი".
5. „ახალწვეულთ".
6. „სარეკომენდაციო სია". ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ წიგნებზე.
7. „გაზეთებიდან" და სხვა.

აქვეა „წითელი და შავი დაფები". სურათები (მაგ. ერთი წითელი არმიელი წიგნიდან ფურცელს ჰხევს თამბაქოს შესახვევად მეორე აფრთხილებს და უხსნის წიგნის ასე ცუდად მოხმარების მავნებლობას და ურჩევს, რომ წიგნს მოუაროს, როგორც თვალის ჩინს).

გაზეთის სათაურს ამშვენებს ოქტომბრის შესაფერი ლოზუნგები და სურათი—გაშლილი წიგნი წარწერით: „ცოდნა ძალაა".

გაზეთს ეტყობა გაუმჯობესება.

ეტყობა სარედაქციო კოლეგია ძლიერ სცდილობს გაზეთის გაუმჯობესებაზე და კარგი იქნება, რომ ასე განაგრძობდეს ბოლომდის.

ხანი.

პარტიული ცხოვრება.

მეოთხე ლეგიონი.

29 ოქტომბერს შესდგა ჩვენი ლეგიონის პარტ ამხანაგების გაერთიანებული კრება.

კრებას დაესწრენ წარმომადგენლები საოლქო კომიტეტიდან: ამხ. ამხ. მეგრელიძე და მიქაძე, კომუნალურ მეურნეობიდან ამხ. ამხ. მარგალიტაძე და ჯინჭარაძე. ამ მოვლენამ ძლიერ ასიამოვნა ჩვენი ლეგიონის ამხანაგები, რადგან ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან დღითი დღე ძლიერდება.

საქართველოს ცაკის მესამე სესიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მიქაძემ.

სანამ შეეხებოდა აღნიშნულ თემს, ამხანაგმა აუწყა კრებას საფრანგე-

თის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის შესახებ.

„დღეს მთელი კაპიტალისტური სამყარო ქედს იხრის საბჭოთა რესპუბლიკების სიძლიერის წინაშე“-ო, ამბობს მომხსენებელი, რომლის სიტყვები იფარება ძლიერი ტაშით.

შემდეგ მიქაძემ ვრცლად გააცნო ამხანაგებს ცაკის მესამე სესიის მუშაობა და დადგენილებანი.

განსაკუთრებით შეეხო ის სასოფლო სამეურნეო გადასახადებს, რომელშიდაც დიდი შეღავათი ეძლევა ღარიბ გლეხობას, რაიც წინ წასწევს სოფლის მეურნეობას აგრეთვე აღნიშნა ამხანაგმა, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებულ კულტ-მუშაობის ფრონტზე სოფლად, რასაც აღფრთოვანებით შეეგებენ ყველა ამხანაგები.

მეორე მოხსენებით გამოვიდა სამნეო კამისიის თავმჯდომარე ამხ. სიხარულიძე, კომისიის მუშაობის შესახებ. მან აღნიშნა ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც წინ ეღობებოდენ კომისიას თავისი საქმიანობის დროს.

არც ერთი ბოროტმოქმედება კომისიას არ აღმოუჩენია, რადგან ყოველთვის წინასწარ ღებულობდა სათანადო ზომებს და მას ადგილი არ ექნებოდაო. მოხსენების შემდეგ კრებამ გამოიტანა დადგენილება, სადაც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი სამნეო კომისიის მუშაობა.

დადგენილება მიუთითებს კომისიას სხვა და სხვა ნაკლოვანებაზე და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალში გამოსწორებული იქნება.

ლეგსამხკორი **გუჯაბიძე.**

მეცნიერება და ტექნიკა

ადამიანის მსგავსი მაიმუნები სუმატრაზე.

სუმატრის მკვიდრ მცხოვრებლებს შორის გავრცელებული იყო ხმები, რომ კუნძულ სუმატრის სამხრეთ მიდამოებში, იქ, სადაც არის ე. წ. ქალწულებრივი ტყეები, სცხოვრობენ ერთ გვარი არსებანი, რომლებიც განსხვავდებიან როგორც ადამიანისა, ისე მაიმუნისაგანაცო, მაგრამ ორივეს კი ძლიერ წააგავსო. ამ ხმებს ყურადღება მიაქცია ნიდერლანდის მთავრობამ და იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ეს ხმები, გაგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია. ამ ჟამად ჟურნალ „ტროპიულ ბუნებაში“ ჰოლანდიელი ვანხერვარდენი, რომელმაც პირველმა იხილა ეს არსება—იძლევა მის აწერილობას. „ეს იყო მდედრობითი სქესის ცხოველი, თავზე გრძელი თმა-ბეჭებამდე, პირის სახე ყავის ფერი და სრულიად უთმო, წამწამები მუქი-შავი, ცხვირი ფართო, როგორც კავფრებას, დიდი პირი. გვერდის კბილები ძლიერ განვითარებული, ყური თითქმის ისეთი, როგორც ადამიანს, ასეთივე ჰქონდა თვალების გამომეტყველებაც. აღნიშნული ცხოველი იჯდა ხეზე და უშვებდა ყრუ ბგერებს. ჰოლანდიელმა მეცნიერმა ვერ შესძლო მისი დაჭერა, ხოლო მისი მოკვლა კი ძლიერ დაზარებია.

ვარსკვლავების კატალოგი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დამთავრდა ხორვარტის ობსერვატორიის მიერ-კემბრიჯში (ამერიკა) დაწყებული გიგანტიური სამუშაო და ამ ჟამად უკვე გამოუშვეს „დრეპერის ვარსკვლავთა“ კატალოგის პირველი ფურცელი. ეს კატალოგი შესდგება ცხრა ტომისაგან და იძლევა გარკვეულად ბრწყინავ ვარსკვლავების რიცხვის, მათი ადგილმდებარეობის ცის თაღზე, ბრწყინვალების და სპექტრის შესახებ ცნობებს.

იმ დროს, როდესაც შეიარაღებულ თვალით დანახულ ვარსკვლავთა რიცხვი აღწევს 6,000-მდე, ახალი კატალოგი შეიცავს 225,000 ცის სხეულებს.

ამ კატალოგის შესადგენად დასჭირდათ 15 ათასი ფოტოგრაფიული ფირფიტის დამუშავება ხორვარტის ობსერვატორიის არქივიდან რომ აღენიშნათ 225 სხვა და სხვა სპექტრები. ეს უკანასკნელი სამუშაო სხვათაშორის მთლიანად შესრულებული იქნა ქალის მიერ.

კატალოგზე მუშაობა დაიწყო ცნობილმა პიკერინგმა და დაამთავრა პროფესორ შეპლეიმ.

წყალი ბენზინის მაგიერ.

ცნობილი ქიმიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი შარლ ანრი რამოდენიმე წელიწადია, რაც მუშაობს წყლის გამოსაყენებლად მოტორებისათვის—როგორც მათი მამოძრავებელი ძალა.

ამას წინად პარიზის ტეხნიკურ საზოგადოების ყრილობაზე ანრი მოხსენებით გამოვიდა თავის ცდების შესახებ.

როგორც შარლ ანრი ამტკიცებდა, შორს არ არის ის დრო, როდესაც წყალზე ქიმიური ზედმოქმედებით შესაძლებელი გახდება გამოყენებული იქნეს ის, როგორც მოტორების მამოძრავებელი მასალა ბენზინის მაგივრადო.

ანრიმ წყლის გაცხელებით 200 გრადუსამდე და შემდეგ მისი ფილტრაციით ერთგვარი შემადგენლობის ლითონში, შესძლო ავტომობილის მოტორის ამუშავება. ლითონის შემადგენლობას (რომელსაც ხმარობს წყლის გასაწმენდათ - ფილტრაცია) ჯერ-ჯერობით საიდუმლოთ ინახავს ცნობილი გამომგონებელი.

ანრი ამბობს, რომ მისი ცდები ჯერ-ჯერობით ატარებენ ლაბორატორულ ხასიათის და მათი პრაქ კული მიზნით გამოყენება შეუძ ბელია, მაგრამ მალე დადგება დრ როდესაც წყალი მშვენივრად შ რულებს მოტორებისათვის ბენ ნის მაგიერებასო.

სამხედრო ტრიბუნალში.

11 ნოემბერს, სამხედრო ტრიბუნალმა, ამხ. დ. ხიხაძის თავმჯდომარეობით და კოლეგიის წევრების გაბუნიას და ქერქაძეს მონაწილეობით, განიხილა საქმე 1-ლ ქართულ ლეგიონის წითელ მოლაშქრის ვასილ გოგოლაშვილის, რომელსაც ბრალად ედებოდა თავის ნებით ნაწილის მიტოვება და სახლში გაპარვა. ს. ს. კ. 211 მ. ნიშნებით.

ბრალდებული გოგოლაშვილი იყო გაწვეული 1924 წელს, ივნისის ბოლო რიცხვებში და ჩარიცხული პირველ ლეგიონში.

დაჰყო რა ნაწილში 4—5 დღე, 6 ივლისს ის გაიპარა ნაწილიდან სახლში, სიღნაღის მაზრაში. სახლში დარჩა 24 დღე და აგვისტოს პირველ რიცხვებში იქმნა დაპატიმრებული. სახლში გაპარვას ბრალდებული ხსნის ოჯახური გაჭირვებული მდგომარეობით. „ორი კვირით მინდოდა წასვლა და შემდეგ თვითონვე ვფიქრობდი დაბრუნებასო“, აცხადებს ბრალდებული, მაგრამ ორმა კვირამაც გაიარა, მესამეც ზედ დაემატა, მაგრამ ნაწილში დაბრუნებაზე მას არ უფიქრნია სანამ არ დააპატიმრეს. ტრიბუნალმა ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა გოგოლაშვილს საჯარიმო გუნდში მოთავსება სამი თვით და ორას მანეთად ღირებულ ქონების ჩამორთმევა მაგრამ ეს უკანასკნელი, მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო, იქმნა შემცირებული ოც მა თამდე, თანახმად ს. ს. კ. 28 მ. ჯარიმო გუნდში სამი თვით მო ვსების ძალაში დატოვებით.

იმავე დღეს გაირჩა მეექვსე ლ გიონის წ. არმიელის ივანე ორ ლაშვილის საქმე, რომელსაც ბრა დებოდა ნაწილიდან გაპარვა 1. 211 მ. ნიშნებით.

ბრალდებული ორველაშვილი ი გაწვეული წითელ ჯარში 1924 მაისში. აგვისტოში, აღნიშნ ლეგიონი იდგა ბანაკად ქ. სურამ

15 აგვისტოს ორველაშვილი გ ზავნეს ქ. ქუთაისში საავადმყოფ ავადმყოფობის გამო.

სადგ. ხაშურიდან ის გაიპ სახლში, ქ. სიღნაღში. ნაწილის რეშე მან დაყო ორი კვირა, შემდეგაც იქმნა დაპატიმრებუ ბრალდებული აცხადებს, რომ ნების დასამუშავებლად წავე სახლშიო, მაგრამ აგვისტოში ნები უკვე დამუშავებულია. ტ ბუნალმა ბრალდება დამტკიც ბულად სცნო და მიუსაჯა ორ ლაშვილს საჯარიმო გუნდში მოთა სება სამი თვის ვადით, და აგრ ვე ქონების ნაწილის კონფისკა ორასი მანეთით, მაგრამ ეს უ ნასკნელი თანახმად ს. ს. რ. 28 შეუმცირდა ოც მანეთამდე საჯარ მო გუნდში მოთავსების ძალ დატოვებით.

დიხ.

ანტი-რელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორ ჰქმნიდა ცხოვრების პირობები სარწმუნოებას, თუ როგორ იცვლებოდა ცხოვრების პირობებთან ერთად სარწმუნოება, კვდებოდა ე. ი. დავიწყებას ეძლეოდა ძველი და იბადებოდა ახალი ღმერთები.

ქრისტიანული სარწმუნოება ყველა სარწმუნოებაზე უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გამოდგა.

მან ღრმად გაიდგა ფესვები კაცობრიობის დიდ ნაწილში.

ამის მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: ძველი ოჯახური და თემური ცხოვრება დროს განმავლობაში მოისპო და მას თან მიჰყვა ძველი ადათი და ჩვეულება.

ადამიანი ერთ ალაგას დამკვიდრდა. მან თავი გაანება ადგილიდან ადგილზე ხეტიალს. შეიქმნა, ასე ვთქვათ, უფრო მყარი, მუდმივი ცხოვრების პირობები. ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი და შემდეგ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ასე რომ მომზადდა ერთგვარი მუდმივი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ქრისტიანული სარწმუნოება, გაიდგა ფესვები და კაცობრიობის დიდ ნაწილს მოედო.

ქრისტიანული სარწმუნოება მოთმინებას და მორჩილებას ურჩევდა ჩაგრულებს, ღარიბებს. სამაგიეროდ ის მათ პირდებოდა საიქიოს განცხრომით ცხოვრებას.

როგორ შეიქმნა რწმენა „საიქიო“ ცხოვრებაზე?

სარწმუნოებამ „საიქიოს“ ისეთივე სახე მისცა, როგორიც არის სააქაო.

ჩვენ ვიცით თუ როგორი წესწყობილებაა მონარქისტულ სახელმწიფოში: სათავეში სდგას მეფე-იმპერატორი, რომელიც მთელ ქვეყანას მბრძანებლობს. მას ჰყავს მინისტრები, კარის-კაცები და შემდეგ მთელი იერარქია სახელმწიფო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირთა.

აქ არის წოდებრივი სხვა და სხვაობა. არის მდიდრები და ღარიბები. მჩაგვრელები და ჩაგრულები. ფუფუნება და გაჭირვება.

ასეთ პირობებში ადამიანს არ შეეძლო წარმოედგინა „საიქიო“ სხვა სახით და კიდეც შეჰქმნა ის მსგავსად ამ ქვეყნისა.

მისი წარმოდგენით იქაც უნდა ყოფილიყო ასეთივე წესწყობილება.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად „საიქიოს“ ტახტზე ზის ღმერთი, მბრძანებელი და ყოვლის შემძლე. მას ჰყავს მსგავსად იმპერატორისა მინისტრები, კარის-კაცები, რომლებსაც იქ ეწოდება ძე—ღმერთი, სული—წმინდა, მთავარ ანგელოზები, უბრალო ანგელოზები, წმინდანები, ერთი სიტყვით ისეთივე შტატი, როგორც მონარქისტულ სახელმწიფოში.

ხელმწიფეს ჰყავს მტერი —მეორე ქვეყნის ხელმწიფე. ღმერთსაც ჰყავს მტერი, რომელსაც ბელზებელი ეწოდება.

ბელზებელსაც იმავე პრინციპზე აქვს აგებული სახელმწიფოს აპარატი, როგორც იმპერატორს და ღმერთს. მას ჰყავს მთელი შტატი ეშმაკების და კუდიანების.

ბელზებელი მბრძანებლობს და განაგებს ჯოჯოხეთს.

ბელზებელს ამ ქვეყნადაც ჰყავს მოგზავნილი ჯაშუშები (ეშმაკები, ჯადოები), რათა შეაცდინონ ადამიანები და დაიმკვიდრონ მათზე თავიანთი უფლება. ბელზებელსა და ღმერთს შორის ისეთივე მტრობაა ერთმანეთში, როგორც იმპერიალისტურ ქვეყნების მმართველებს შორის.

სააქაოს არსებობს ერთი მხრივ ტანჯვა და წამება, მეორეს მხრივ—ფუფუნება და განცხრომა.

„საიქიოსაც“ ასეთივე სურათია: ერთის მხრივ სამოთხე და განცხრომა, მეორეს მხრივ—ჯოჯოხეთი და წამება.

ქრისტიანული სარწმუნოება „საიქიოს“ განცხრომით ანუგეშებს ღარიბებს. მაგრამ თუ რამდენად „მართალია“ ეს, ამას დავინახავთ იქიდან როცა ჩვენ მოვიყვანთ ადგილებს წმინდათა ცხოვრებიდან ღარიბების მდგომარეობის შესახებ „საიქიოს“.

№

ახალი ამბები.

— **საშუამავლო ბიუროები.** შრომის კომისარიატის განკარგულებით ყველა შრომის საშუამავლო ბიუროები მოთავსებული იქნება ყოფ. შრ. ბირჟის შენობაში.

— **სალვინე ბოთლები.** სახალხო მამულების ტრესტმა არმავირიდან მიიღო 2 ვაგონი სალვინე ბოთლები.

— **დიდი ავიო—შეჯიბრება.** ნოემბრის ბოლო რიცხვებში საქ. საჰაერო საზ-ბის მეთაურობით გაიმართება დიდი შეჯიბრება საფრენი მოდელებისა.

— **აბრეშუმის საქსოვი ქარხანა.** ცეკავშირის აბრეშუმის საქსოვმა ქარხანამ მიიღო მოსკოვიდან ახალი მანქანები.

— **ბამბის შეძენა.** ოქტომბრის განმავლობაში ცეკავშირმა შეიძინა ყარაიაზის რაიონში 12.600 ფუთი ბამბა.

— **თავისუფლების მოედნის გა**ფართოება. თავისუფლების მოე ნის გაფართოების მიზნით განზრ ხულია აღებულ იქნას იქ მდება ტრამვაის სადგური.

— **ხის ჯიშები.** მიწად-მოქმ. კ მისარიატის ცნობით საქართველო არის 326 სხვა და სხვა ჯიშის (მაშინ, როდესაც რუსეთში არ 86 ჯიშის).

— **საძოვრების სივრცე.** საქა თველოს საძოვრების სივრცე უდრ 700 ათას დესეტინას.

— **მწერალთა სახლი ქუთაისშ** ვინაიდან ქუთაისის მწერალთა სა ლი უპატრონოთ იყო მიტოვებუ და მას არავინ არ აქცევდა ყურა ღებას, ქუთაისის ალმასკომმა დაა გინა გადასცეს იგი ფიზკულტურ საბჭოს.

— **ბოჭკების ქარხანა.** განზრახ ლია ბორჯომის საკასრე ქარხნ გადატანა ქუთაისის ახლო წაბლ რის ხევში.

განცხადება.

პოლიტ-განყოფილების კომუჯრედთან დაარსებულია მარქსისტულ წრე. პირველი საორგანიზაციო კრება დანიშნულია შაბათს 15 ნოე ბერს. წრეში ჩაწერა შეუძლიათ, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო თა ნამშრომლებს—ქართ. დივიზიის ზურგ მდგომ ნაწილებისა. მსურველე მა უნდა მიმართონ პოლიტ-განყოფილებაში ამხ. რუდოვსკის.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ერთხელ პოლიტ-განყოფილებ შენობაში.

1-ლ ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის ბიურო.

ნ. ფ. ს. ც ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—შ. ბუჯაძე